ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზია
ერთწლიანი სამოქმედო გეგმის
(სექტემბერი 2024 - აგვისტო 2025)
ანგარიში

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცებიდან გავიდა ერთი წელი და წარმოგიდგენთ გეგმის განხორციელების ანგარიშს.

აღმასრულებელი დირექტორის 2024 წლის 24 ივნისის #03/22 ბრძანებით დადგინდა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მოქმედების პერიოდი - 2024-2025 სასწავლო წლის დასაწყისიდან, ამდენად საანგარიშო პერიოდი არის 2024 წლის სექტემბრიდან 2025 წლის აგვისტოს ჩათვლით.

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანები შესაბამისობაშია სკოლა-გიმნაზიის სტრატეგიულ მიზნებთან, კერძოდ 1. განათლებული მოზარდის აღზრდა ქრისტიანული ცნობიერებით; 2. სკოლა-გიმნაზიის ინსტიტუციური განვითარება; 3. სკოლა-გიმნაზიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება; 4. მხარდამჭერი გარემოს უზრუნველყოფა მასწავლებელთა და თანამშრომელთა პროფესიული განვითრებისათვის.

სკოლა-გიმნაზიის პირველი სტრატეგიული მიზნის - **განათლებული მოზარდის აღზრდა ქრისტიანული ცნობიერებით**, მისაღწევად სკოლა-გიმნაზია საქმიანობს სასწავლო გეგმით. სასწავლო პროცესი დაიწყო 2024 წლის 14 სექტემბერს. სწავლა დაიწყო 553 მოსწავლემ სწავლების სამ საფეხურზე: დაწყებით საფეხურზე (პირველი კლასი - 3, მეორე კლასი - 2, მესამე კლასი - 2, მეოთხე კლასი - 2, მეხუთე კლასი - 2, და მეექვსე კლასი - 2), საბაზო საფეხურზე (მეშვიდე კლასი - 3, მერვე კლასი - 2, მეცხრე კლასი - 3, მეათე კლასი - 2) და საშუალო საფეხურზე (მეთერთმეტე კლასი - 2, მეთორმეტე კლასი - 1). სასწავლო პროცესში მონაწილეობდა 53 მასწავლებელი.

მოსწავლეები გაერთიანებული არიან და ესწრებიან სკოლა-გიმნაზიის შემოქმედებით წრეების, სიმღერისა და გალობის გუნდის, ქართული ცეკვის, ქართული ხალხური ინსტრუმენტებისა და სიმღერის შემსწავლელ მეცადინეობებს. 2024-2025 სასწავლო წელს სიმღერისა და გალობის გუნდში ირიცხებოდა 24 მოსწავლე. ქართული ცეკვის წრეში - 52 მოსწავლე, სკოლა გიმნაზიასთან არსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლში – 28, ქართული ხალხური ინსტრუმენტებისა და სიმღერის შემსწავლელ ჯგუფში - 20 მოსწავლე. შემოქმედებითი წრეებში გაერთიანებული მოსწავლები მონაწილეობდნენ როგორც სასკოლო-საგიმნაზიო, ასევე საქალაქო და ეროვნული მასშტაბით მოწყობილ ღონისძიებებში:

- სკოლა-გიმნაზიის დაბადების დღისადმი მიძღვნილი საღამო - 30/10/2024
- ყოველწლიური საშობაო ფესტივალი „გენეთლია“ – 9-10/01/2025
    - თვითშემოქმედებითი გამოსვლები,
    - მოსწავლეთა სასწავლო კონფერენცია,
    - ფოტო კონკურსი მოსწავლეთათვის,
    - სპორტული შეჯიბრი მაგიდის ჩოგბურთში;
- საერთაშორისო ქორეოგრაფიული ფესტივალი „მომავალი ჩვენია“- 7/04/2025, მცხეთა
- ქორეოგრაფიული ფესტივალი - 24/05/2025
- ფოლკლორული შემოქმედების დათვალიერება - 11/06/2025

- ქორეოგრაფიული ფესტივალი - 16/07/2025, ბათუმი
-

სკოლა-გიმნაზიის ორგანიზებით მოეწყო მოსწავლეთა საგანმანათლებლო და წამახალისებელი მოგზაურობები საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ:

- წარჩინებული მოსწავლეების მოგზაურობა სომხეთში (ისტორიული ლორე-ტაშირი) – 9-10/09/2024
- წმ. მღვდელმოწამე თეოდორე კველთელის სახელობის მე-12 კლასის მოსწავლეთა მოგზაურობა-მოლოცვა ჭყონდიდის, ფოთისა და ხობის, ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიების ეკლესია-მონასტრები - 23-24/09/2024
- მე-11-მე-12 კლასების მოსწავლე ვაჟების შემეცნებითი მოგზაურობა-მოლოცვა ათონის მთაზე - 4-11/11/2024
- თანაკლასელთა რჩეული მოსწავლეების (მე-10, მე-11 კლასებიდან) შემეცნებითი მოგზაურობა ესპანეთში (ბარსელონა, მადრიდი) – 10-16/01/2025

სკოლა-გიმნაზიასთან არსებულ **ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის სახელობის ტაძარში** წირვა ლოცვა ტარდება ყოველ შაბა-კვირას და საუფლო დღესასწაულებზე, რომლებსაც ესწრებიან როგორც მოსწავლეები, მასწავლებლები, მოსწავლეთა მშობლები, ასევე თემის წევრები. მსახურებაზე ტაძრის მოძღვართან, დეკანოზ ბორისთან (ნიჩიპეროვიჩი) ერთად მსახურებაში მონაწილეობენ სკოლა-გიმნაზიის მოსწავლე ვაჟები 10 სტიქაროსანი, 4 მგალობელი გოგონა, ტაძრის მედავითნე გამოცდილებას უზიარებს და ასწავლის მედავითნეობას გიმნაზიის მეათეკლასელებს. პერიოდულად მსახურებას ესწრებიან კურსდამთავრებულებიც. სკოლა-გიმნაზიაში ტრადიციად დამკვიდრდა კლასების მოსწავლეების ერთობლივი ლოცვა ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის სახელობის ტაძარში. 2024 წლის სექტემბერ-ნოემბერში, მსახურების დასრულებისას ტაძარში ეწყობოდა 2023-2024 სასწავლო წლის წარჩინებული მოსწავლეების დაჯილდოება.

სკოლა-გიმნაზიაში ყოველი სასწავლო დღე იწყება ერთობლივი ლოცვით - სწავლის დაწყების წინ, ორშაბათობით, დიდ დასვენებაზე, ტარდება ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის პარაკლისი. გიმნაზიელების ერთობლივ დასწრებას ლოცვაზე ხელს უწყობს ტაძრის მიმდებარე დერეფანში გახმოვანების სისტემა.

სკოლა-გიმნაზიამ მოსწავლეთა და მასწავლებელთა სწავლების მიზნით 2024 წლის 27 ოქტომბერს უმასპინძლა საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის სასწავლო-კვლევითი ცენტრის სპეციალისტებს, რომლებმაც სიმღერისა და გალობის წრის მოსწავლეთათვის, მუსიკის მასწავლებელთათვის და გორისა და ატენის ეპარქიის სხვა მგალობელთა გუნდებისთვის მოსმენა-მასტერკლასები ჩაატარეს.

სკოლა-გიმნაზიის დირექციისა და მასწავლებელთა ხელმძღვანელობით მოეწყო მოსწავლეთა სასწავლო კონფერენციები, მოსწავლეები ასევე მონაწილეობდნენ გორისა და სხვა ქალაქების სასწავლო დაწესებულებების მიერ ორგანიზებულ კონფერენციებსა და სასწავლო-სამეცნიერო ფორუმებში:

- მოსწავლეთა კონფერენცია მიძღვნილი პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებისადმი - 9-10/01/2025

- მეათე კლასელებმა: მარიამ ბოლოთაშვილმა, ლიზი რჩეულიშვილმა, თამარ ბარბაქაძემ, მარიამ ბეგაშვილმა, მარიამ გარსიძემ და მარიამ მინდიაშვილმა, მონაწილეობა მიიღეს გორის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ მოსწავლეთა და სტუდენტთა კონფერენციაში „იპოვე შენი მომავალი ჩვენთან“. კონფერენციაზე მოსწავლეებმა წარმოადგინეს თემები: „წყალი და მისი თვისებები“ და „სურსათის უვნებლობა“ 2/10/2024 (ხელმძღვანელი ქიმიის მასწავლებელი ნელი ნაოჭაშვილი)
-
- სასკოლო-საგიმნაზიო კონფერენცია „კარგ ქართველთა ხსოვნისათვის“ – 25/11/2024 (ხელმძღვანელი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მარიამ საური)
- „საქართველოს გასაბჭოება 1921 წელი". ღონისძიება ეხებოდა საქართველოს გასაბჭოების თანმდევ მნიშვნელოვან საკითხებს. ღონისძიების მიზანი გახლდათ მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით. ღონისძიება გაიხსნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჰიმნით. რის შემდეგაც, ნაჩვენები იქნა ანიმაცია, რომელიც მოსწავლემ შექმნა. მოსწავლეებმა ღონისძიების ფარგლებში წარმოადგინეს რეფერატები, შექმნეს წიგნი, წაიკითხეს ამ თემაზე დაწერილი საკუთარი ლექსები (ორგანიზატორი ისტორიის მასწავლებელი გიორგი ტატუნაშვილი);
- წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველის სახელობის მე-9 კლასში ჩატარდა ვიქტორინა 1918-1921 წლების საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. ეს აქტივობა მიზნად ისახავდა მოსწავლეებში საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის პერიოდის (1918–1921) უკეთ გააზრებას და კრიტიკული ისტორიული ხედვის განვითარებას (ნანა სადღობელაშვილი);
- წმინდა მეფე დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი სასწავლო კონფერენცია, სადაც საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეებმა წარმოადგინეს დავით აღმაშენებლის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები და ყურადღება გაამახვილეს ისტორიულ, ლიტერატურულ და გეოგრაფიულ ასპექტებზე (საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ორგანიზებით) - 4/04/2025;
- წმ. მოციქულ სვიმეონ კანანელის სახელობის მე-10 კლასელთა მონაწილეობით მოეწყო ნაფიც მსაჯულთა იმიტირებული სასამართლო. აქტივობის ფარგლებში მოსწავლეებმა გაიგეს როგორ მიმდინარეობს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესი (თამარ ცერცვაძე).
- მეათე კლასის 5 მოსწავლე მონაწილეობდა ისრაელის საელჩოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში „ჰოლოკოტთან“ დაკავშირებით, სადაც მადლობის სიგელები დაიმსახურეს.
- წმ. მთავარანგელოზთა დასის სახელობის და წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის მე-6 კლასების მოსწავლეები ეწვივნენ საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოქროს ფონდს და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს - ოქტომბერი, 2025 (ძველი ქართული ენის მასწავლებელი ნინო კვაღნიძე);
- წმ. ილია მართლის სახელობის მე-8 კლასის მოსწავლეებმა დედაენის დაცვის დღესთან დაკავშირებით, ენის კვირეულის ფარგლებში, 14 აპრილს, მოსწავლეებმა სკოლა-გიმნაზიის მასწავლებლები გამოკითხეს. გამოკითხვის მიზანი იყო გაერკვიათ, მასწავლებლები იცნობენ თუ არა თანამედროვე სლენგებს და რამდენად იყენებენ მათ ყოველდღიურობაში. მოსწავლეებმა მოისმინეს მასწავლებლების მოსაზრებები და დამოკიდებულებები სლენგის მიმართ — რა როლს ასრულებს ის ენობრივ სივრცეში და როგორია მისი გავლენა ქართული ენის სიწმინდეზე. გამოკითხვის დასასრულს, მადლობის ნიშნად, მოსწავლეებმა მასწავლებლებს სიმბოლურად გადასცეს მადლობის ბარათები და მიულოცეს ქართული ენის დაცვის დღე (ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნელი მჭედლიშვილი).

- წიგნის საჯაროდ კითხვის დღეს, სკოლა-გიმნაზიაში, წმ. მოციქულ სვიმონ კანანელის სახელობის მე-9 კლასის მოსწავლეებმა შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ წაიკითხეს. აქტივობას მთელი დღე დაეთმო, მოსწავლეები ყოველ დასვენებაზე რიგ-რიგობით კითხულობდნენ თითო სტროფს. დღის დევიზი იყო „იკითხე ხმამაღლა, შეცვალე მსოფლიო!“ მკითხველებს მხარდამჭერები სხვადასხვა კლასებიდან გამოუჩდნენ (ქართული ენისა და ლიტერატურის პმასწავლებელი ნელი მჭედლიშვილი) 5/02/2025.

- ბასილი დიდის სახელობის მე-9 კლასმა წარმოადგინა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღესთან, 1918 წლის 26 მაისთან, დაკავშირებით დადგმა. მოსწავლეებმა გააცოცხლეს დამოუკიდებლობის აქტის მიღების სხდომა. ყურადღება გაამახვილეს 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში არსებულ მიღწევებსა და გამოწვევებზე. დამსწრე საზოგადოებას დაურიგდათ ბუკლეტები საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ცნობიერების ასამაღლებლად. აღნიშნულმა აქტივობამ ხელი შეუწყო მოსწავლეთა მოქალაქეობრივი ცნობიერების ამაღლებას, ისტორიული პროცესების შეფასებასა და დამოუკიდებლობის მნიშვნელობის უკეთ გააზრებას (ნანა სადღობელაშვილი) - 29/05/2025

  2025 წლის აპრილში, სახელმწიფო ენის კათედრის წევრთა ორგანიზებით გაიმართა **ქართული ენის კვირეული**, რომლის ფარგლებში:

- წმ. რაჟდენ პირველმოწამის სახელობის პირველ კლასში დედაენის დღესთან დაკავშირებით ჩაატარა შემაჯამებელი გაკვეთილი „დიდი წიგნების ერთობლივი კითხვა“ (ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი თამარ ჭუმბურიძე) ,
- წმ. დიდმოწამე ქეთევან დედოფლის სახელობის მე-3 კლასში გაიმართა ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“ (კლასის ხელმძღვანელი თამარ ჭუმბურიძე)
- ქართული ენის დღესთან დაკავშირებით წმ. ნიკოლოზის სახელობის მეხუთე კლასში ჩატარდა ვიქტორინა სახელწოდებით „ჩვენი ენა ქართული“ (ძველი ქართული ენის მსწავლებელი ნინო კვაღნიძე - 15/04/2025
- წმ. ეპისკოპოს ალექსანდრეს სახელობის და წმ. მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის მე-4 კლასებში წიგნიერების ამაღლების მიზნით განახორციელა პროექტი - „წიგნიერი დედა-შვილი“ და გამართა ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“ მოიწვია წიგნის ავტორი ირმა მალაციძე, რომელიც შეხვდა მოსწავლეებს და უპასუხა მათ მიერ დასმულ შეკითხვებს (ცისია ვანიშვილი)
- წიგნიერების ამაღლების მიზნით წმ. ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის მე-8 და სამივე მე-9 კლასში პედაგოგმა მოსწავლეებს შესთავაზა ინტელექტუალური შეჯიბრი - „საუკეთესო მკითხველი“. მოსწავლეებს სექტემბრიდან სასწავლო წლის ბოლომდე პერიოდულად თავიანთ საკლასო ოთახებში განთავსებულ „მკითხველის ყულაბაში“ უნდა მოეთავსებინათ ბარათი ინფორმაციით ყოველი ახალი წაკითხული წიგნის შესახებ. წლის ბოლოს დაითვალეს ბარათები. ის მოსწავლეები, რომლებსაც ყველაზე მეტი წიგნი ჰქონდათ წაკითხული, დაჯილდოვდნენ „წლის საუკეთესო მკითხველის“ ტიტულით, სერტიფიკატებითა და საჩუქრებით (მარიამ საური).
- დედაენის დღესთან დაკავშირებით წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის სახელობის მე-9 კლასის მოსწავლეებმა ნახეს დოკუმენტური ფილმი „დამწერლობის ისტორია“, რომლის მეშვეობით გაეცნენ დიდი ქართველი ენათმეცნიერის, რამაზ პატარიძის, კვლევებს ქართული ასომთავრული ანბანის შექმნასა და ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. ფილმმა მოსწავლეებში დიდი ინტერესი გამოიწვია და აქტიურად ჩაერთნენ დისკუსიაში (მარიამ საური).

სკოლა-გიმნაზიის კლასის ხელმძღვანელებისა და საგნის მასწავლებელთა ერთობლივი ორგანიზებით, საგნობრივი და სადამრიგებლო პროგრამის გათვალისწინებით განხორციელდება შემდეგი საქმიანობები:

- წმ. მოწამეთა დავითისა და კონსტანტინეს სახელობის მე-7 კლასის მუსიკალური წარმოდგენა „ვერის უბნის მელოდიები“ – 30/10/2024
- წმ. ეპისკოპოს ალექსანდრეს სახელობის მე-4 კლასელთა მონაწილეობით საგნის, მე და საზოგადოება, ფარგლებში მოეწყო ლაშქრობა გორის ციხეზე და ვიზიტი შედგა ეთნოგრაფიულ მუზეუმში (ბუნებისმეტყველების მასწავლებელი ნონა ხიდაშელი) 17/10/2024,
- მე-5 კლასელები ექსკურსიაზე გაემგზავრენ უფლისციხეში, გაეცნენ სამუზეუმო ექსპოზიციას (ბუნებისმეტყველების მასწავლებელი ცირა ზაბილონი);
- წმ. მეფე დემეტრე თავდადებულის სახელობის I კლასი - ანბანის შემობრძანება - 28/10/2024 (ქართული ენა და ლიტერატურა);
- მთავარანგელოზთა დასის სახელობის და წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის მე-6 კლასმა განახორციელა პროექტი „მადლიერების ყუთი”. მოსწავლეები ყუთში ათავსებდნენ ერთმანეთზე სამადლობელ წერილებს. ყუთი სასწავლო წლის პირველი სემესტრის დასასრულს გაიხსენა. ყუთში არსებული სამადლობელი წერილების დათვლის შედეგების მიხედვით გამოვლინდა 2 გამარჯვებული: რომელმაც ყველაზე მეტი მადლობა დაიმსახურა თანაკლასელებისგან და მოსწავლე, რომელიც ყველაზე მეტჯერ იყო თანაკლასელების მადლიერი. გამარჯვებულებს გადაეცათ სიგელები. ასევე ჰქონდათ ნომინაციები: ყველაზე მეგობრული, ყველაზე ყურადღებიანი, ყველაზე მხიარული, ყველაზე ჯენტლმენი (კლასის ხელმძღვანელი შორენა პაიჭაძე).
- წმ. მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის მე-4 კლასის და მთავარანგელოზთა დასის მე-6 კლასის მოსწავლეები მონაწილეობდნენ საქართველოს კარტოგრაფთა ასოციაციის მიერ მოწყობილ კონკურსში „ჩემი თვალით დანახული სამყარო“. ნამუშევრებით მოსწავლეებმა გამოხატეს თავიანთი აზრი, როგორ წარმოუდგენიათ დედამიწა 50 წლის შემდეგ. ხუთი მოსწავლე დაჯილდოვდა სერტიფიკატით (ბუნებისმეტყველების მასწავლებელი ია ჯალალი);
- წმ. ილია მართლის სახელობის VIII კლასის მოსწავლეებ მონაწილეობდნენ აზროვნების აკადემიის გამომცემლობის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაში. „როგორ დავწეროთ მოთხრობა“ - ასე ჰქვია სახელმძღვანელოს, რომელიც ახალგაზრდებს წერის პროცესს უკეთ აცნობს და ტექსტის აგების მთავარ პრინციპებზე პრაქტიკულ დავალებებს სთავაზობს. მწერალმა გურამ მეგრელიშვილმა მოსწავლეებს გაუზიარა საკუთარი შემოქმედებითი გამოცდილება, მისცა პრაქტიკული რჩევები და ჩაატარა მოდელირებული გაკვეთილი, რომელშიც გიმნაზიელები უშუალოდ ჩაერთვნენ და სცადეს პატარა ჩანაწერების შექმნაც (ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნელი მჭედლიშვილი).

- წმ. ეპისკოპოს ალექსანდრეს სახელობის მე-4 კლასმა წლის ბოლოს წარადგინა გამოსაშვები ღონისძიება „მომავალი ჩვენია“, რომელიც მიუძღვნეს კლასის მფარველი წმინდანის წმ. ეპისკოპოს ალექსანდრეს ცხოვრებას და მოღვაწეობას თავის სულიერ შვილთან ილია ჭავჭავაძესთან ერთად (კლასის ხელმძღვანელი ცისია ვანიშვილი).

- სკოლა-გიმნაზიაში უსაფრთხოების დაცვის მიზნით მოსწავლეთათვის ჩატარდება საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები. მოსწავლეები გაეცნენ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების წესებსა და ევაკუაციის გეგმებს. საგანგებო მდგომარეობის დროს აუცილებელი პრაქტიკული უნარების

გამომუშავებას ემსახურებოდა 2024 წლის 7 ნოემბერს ორგანიზებული „განგაში“. იმიტირებული საგანგებო სიტუაციის დროს სასკოლო საზოგადოებამ გამოავლინა საფრთხის შემთხვევაზე სწრაფი რეაგირების უნარი და ურთიერთმხარდაჭერა (სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების მასწავლებელი თინათინ გვერდწითელი).

- პროექტი „ენდემური ჩიყვი“- წმ. ბასილი დიდის სახელობის მე-9 კლასი, (ბიოლოგიის მასწავლებელი ნინო ფსუტური)
- სკოლა გიმნაზიის მოსწავლეები და ბუნებისმეტყველების მასწავლებელი მონაწილეობა ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილ პროექტში „სურსათის უვნებლობის, სანიტარიისა და ფიტოსანიტარიის სექტორის მხარდაჭერა საქართველოში ENPARD IV-ის ფარგლებში“ როგორც პარტნიორმა სკოლამ. პროექტი მოიცავდა შემდეგი აქტივობები:
  - ტრენინგი თემაზე-სურსათის უვნებლობა, სასურსათო უსაფრთხოება და ხარისხი (მონაწილეობდა 25 მოსწავლე) (ტრენერი ნინო ფსუტური)
  - პოსტერების კონკურსი სადაც მონაწილეობა მიიღო გიმნაზიის მოსწავლე ნინო ყიფიანმა (მე-10 კლასი) და მას როგორც ერთ-ერთ საუკეთესო მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატი და ფასიანი საჩუქრები.
  - მოსწავლეთა ვიქტორინა თემაზე-სურსათის უსაფრთხოება. ვიქტორინა გაიმართა საზოგადოება „ბილიკში“ მონაწილეობდა სკოლა-გიმნაზიის 5 მოსწავლე (ბარბარე მარიამიძე, ნინო ყიფიანი, გარსიძე მარიამი, მარიამ ბარბაქაძე)
  - პროექტის ფარგლებში გამოცხადდა მოსწავლეთა იდეათონი მცირე საგრანტო პროექტებზე, სადაც სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეებმა ჟიურის წინაშე წარადგინეს პროექტი „ჩემი ჯანსაღი არჩევანი“ და მოიპოვეს დაფინანსება. ამ პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:
    - სტუმრობა გორის კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრში, საუბრის თემა „უსაფრთხო კვების 5 გასაღები“
    - ტრენინგი სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეებთან - „ეტიკეტი“ და „უსაფრთხო კვების 5 გასაღები“
    - პოსტერების კონკურსი თემაზე - საკვების უსაფრთხოება. საუკეთესო პოსტერის ავტორები დაჯილდოვდნენ საჩუქრებით.

  პროექტში მონაწილე ყველა მოსწავლეს გადაეცა მონაწილეობის სერტიკიკატი.

წლის განმავლობაში მოსწავლეები

- ესწრებიან სპექტაკლებს,
- სტუმრობენ თბილისის ექსპერიმენტარიუმს,

სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები სასკოლო-საგიმნაზიო, საქალაქო თუ ეროვნულ კონკურსებში:

- წმ. დიდმოწამე ქეთევან დედოფლის სახელობის მე-3, წმ. მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის მე-4 და წმ. ილია მართლის სახელობის მე-8 კლასების მოსწავლეებმა გუნდურ-ინტელექტუალურ თამაშში „ტვინების ბრძოლა“ წარმატებით იასპარეზეს სასკოლო, საქალაქო და რეგიონულ ეტაპზე და გავიდნენ ფინალში. მესამე კლასელებმა ფინალურ თამაშში მიღწეული შედეგისთვის სიგელები და საზაფხულო ბანაკის ვაუჩერი დაიმსახურეს. სასკოლო ეტაპზე გუნდურ-ინტელექტუალურ თამაშში სამივე საფეხურის 150 მოსწავლე მონაწილეობდა - აპრილი 2025

- 2025 წლის თებერვალში ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს ახალგაზრდობისა და კულტურის განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღისადმი მიძღვნილი კონკურსში ისტორიაში, რომელშიც სკოლა-გიმნაზიის თორმეტი უფროსკლასელი მონაწილეობდა, მათგან ფინალურ ტურში 3 მოსწავლე გადავიდა. ისტორიის კონკურსში გამარჯვება სკოლა-გიმნაზიის წმ. თეოდორე კველთელის სახელობის მე-12 მოსწავლემ დაიმსახურა. 28 თებერვალს, დაჯილდოების ცერემონიაზე, ორგანიზატორებმა კონკურსის გამარჯვებულებსა და ფინალის მონაწილე მოსწავლეებს, მიღწევების აღსანიშნავად, საჩუქრები და სიგელები გადასცეს. გამარჯვებული მოსწავლის ისტორიის მასწავლებელს, ქალბატონ ლიანა გელაშვილს მადლობის სიგელი გადაეცა.

- გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი - ნიადაგის დღისადმი მიძღვნილი ესეების კონკურსი - „ნიადაგი სიცოცხლის წყარო“ მონაწილეობდნენ ელენე ელუაშვილი (მე-10 კლასი), თამარ ბარბაქაძე და მარიამ გარსიძე (მე-11 კლასი). მათი ნაშრომი მოხვდა 10 საუკეთესო ესეს შორის. მიიღეს დამადასტურებელი სერტიფიკატები და ფასიანი საჩუქრები (ბიოლოგიის მასწავლებელი ნინო ფსუტური)

სკოლა გიმნაზიაში საგნის მასწავლებელთა ინიციატივით მუშაობს **მოსწავლეთა კლუბები:** ლიტერატურის, კომპიუტერული ტექნოლოგიების, ნორჩ მკვლევართა (ქიმიის). კლუბებში საქმიანობა მიმდინარეობს მათი გეგმების შესაბამისად. კლუბებში მოსწავლეთა ჩართვა, მათი მონაწილეობა საკლუბო საქმიანობებში და მონაწილეობა სხვადასხვა კონკურსებში, ოლიმპიადებსა და ფორუმებში ზრდის მოსწავლეთა ინტერესს საგნებისადმი და განაპირობებს მოტივაციას სწავლის მიმართულებით.

ტექნოლოგიების კლუბის „ალგორითმი“ წევრები (კლუბის მეურვე გიული ბუთხუზი):

- 2024-2025 სასწავლო წელს, ტრადიციულად ჩაერთნენ ვიზუალური პროგრამირების ჩემპიონატში. პირველი ტური შედგება ონლაინ ფორმატში 15 ოქტომბერს. მოსწავლეთა მიღწევებიდან გამომდინარე სკოლა-გიმნაზია მოინიშნულია კოდორგის მსოფლიო რუკაზე, როგორც აქტიური და წარმატებული ვიზუალური პროგრამირების მიმართულებით.
- სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეები ყოველ წელს ჩართულნი არიან ვიზუალური პროგრამირების ჩემპიონატში. გამარჯვებულია XII კლასის მოსწავლე ლიზი ტალახაძე; ასევე გამარჯვებულ ხუთეულში მოხვდა VI კლასელი დემეტრე ჯავახიშვილი.

ნორჩ მკვლევართა კლუბის წევრებმა (კლუბის მეურვე ქიმიის მასწავლებელი ნელი ნაოჭაშვილი):

- 2024 წლის ოქტომბრის თვეში აქტიური მონაწილეობა მივიღეთ ილიას უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ ღონისძიებაში „სამეცნიერო პიკნიკი“, რომელიც გაიმართა თბილისში, ილიას უნივერსიტეტში. სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეებმა წარადგინეს მეორადი გადამუშავებით მიღებული სხვადასხვა საგნები, ჩაატარეს საინტერესო ექსპერიმენტები, რითაც დიდი მოწონება დაიმსახურეს მასპინძელი ორგანიზაციის და დამთვალიერებლებისაგან. მონაწილე მოსწავლეებს გადაეცათ სხვადასხვა ფასიანი საჩუქრები და სამეცნიერო პიკნიკში მონაწილის სერთიფიკატები.
- 2024 წლის 30 ნოემბერს თბილისში, მასწავლებელთა სახლში, STEM ფესტივალის ფარგლებში კონკურსის მეორე ტური გაიმართა, რომელშიც აღმოსავლეთ საქართველოს სკოლებიდან პირველ ტურში გამარჯვებული 8 გუნდი მონაწილეობდა. სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეთა გუნდმა წარმატებით იასპარეზა და ფინალურ ტურში გავიდა. გუნდი სკოლა-გიმნაზიის ნორჩ მკვლევართა

კლუბის წევრებისგან იყო შემდგარი (კლუბის მეურვე - ქიმიის წამყვანი მასწავლებელი ნელი ნაოჭაშვილი). გამარჯვებულ მოსწავლეებს კლუბ „ჩხირკედელასგან“ საჩუქრები გადაეცათ;

- კლუბის წევრებმა დაათვალიერეს კასპის ტექნოპარკი და ესტუმრნენ კასპის პროფესიულ სასწავლებელს.

ლიტერატურის კლუბის წევრების მონაწილეობით მომზადდა და წარდგენილ იქნა სასკოლო საზოგადოების წინაშე ლიტერატურული კომპოზიცია (კლუბის მეურვე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნანა ბერძენიშვილი):

- „ბურჯი ეროვნებისა“, მიძღვნილი იაკობ გოგებაშვილის საიუბილეო წლისადმი - 30/10/2024.
- **მოსწავლეთა მშობლების თანადგომით:**
- წმ. მეფე აშოტ დიდი კურაპალატის სახელობის პირველი კლასის მოსწავლეებმა მოინახულეს იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი, მოილოცეს ყინწვისის მონასტერი.
- წმ. რაჟდენ პირველწოდებულის სახელობის პირველი კლასის მოსწავლეებმა მოინახულეს იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი, მოილოცეს ნიქოზის საკათედრო ტაძარი და ყინწვისის მონასტერი.
- წმ. დემეტრე თავდადებულის სახელობის პირველი კლასის მოსწავლეებმა დაათვალიერეს იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი.
- წმ. მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის მე-4 კლასის მოსწავლეებმა მოილოცეს ქვათახევის მონასტერი, ერთაწმინდის ტაძარი.
- წმ ეპისკოპოს ალექსანდრეს სახელობის მე-4 კლასის მოსწავლეებმა მოლოცეს შიო მღვიმეში წმ. ეპისკოპოს ალექსანდრეს საფლავი და საგურამოში დაათვალიერეს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი.
- წმინდა მოწამეთა დავითისა და კონსტანტინეს სახელობის VII კლასი - მოილოცეს ბოდბის წმინდა ნინოს მონასტერი და დავათვალიერეთ სიღნაღი
- წმ. ილია მართლის სახელობის მე-8 კლასის მოსწავლეებმა მოილოცეს წმ. ნინოს სახელობის ბოდბის დედათა მონასტერი და გაეცნენ სიღნაღის კულტურულ-ისტორიულ ღისშესანიშნაობებს.
- წმ. ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის მე-8 კლასის მოსწავლეებმა კომბინირებული ლაშქრობით იმოგზაურეს მდ. თეძმის ხეობაში და მოილოცეს რკონის სამონასტრო კომპლექსის ტაძრები, დაათვალიერეს ისტორიული არქიტექტორული ნაგებობები.
- წმინდა გიორგი სახელობის მე-9 კლასის მოსწავლეებმა იმოგზაურეს ხევში. მოვილოცეთ დარიალის მონასტერი, გერგეტის სამება, ასევე ანანურის ტაძარი.

სკოლა-გიმნაზიის ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით:

- შემუშავდა და დამტკიცდა მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშვების მეთოდოლოგია;
- შემუშავდა და დამტკიცდა პერსონალურ მონაცემტა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი და პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცრის თანამდებობაზე დაინიშნა თანამშრომელი;
- მომზადდა და დამტკიცდა ხარისხის განვითარების მართვის დოკუმენტი;
- საზოგადოებრივი წესრიგის დავისა და უსაფრთხოების წესის შეთანხმების სამუშაოების ატარება;

სკოლა-გიმნაზიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება

- ახალი სასწავლო წლის დაწყებისთვის დასრულდა სკოლა–გიმნაზიის ეზოში დასვენების სივრცის მოწყობა. პროექტის ინიციატორები იყვნენ სკოლა–გიმნაზიის მოსწავლეები, რომლებმაც შექმნეს მწვანე სივრცის მოწყობის ესკიზი, გორისა და ატენის ეპარქიის მხარდაჭერით, მოსწავლეთა მოხალისეობით, მშობელთა და ბიზნეს სექტორის ჩართულობით სკოლა–გიმნაზიამ შეძლო არა მარტო სკვერის მოწყობა, არამედ ეზოს მოპირკეთება.
- სკოლა–გიმნაზიის კვების ბლოკისთვის შეძენილი ინვენტარი (მაგიდა, სკამები, ჭურჭელი) განთავსდა სატრაპეზოში, რამაც შესაძლებელი გახადა გახანგრძლივებული სწავლების 64 მოსწავლის ერთდროული კვება;
- კომპიუტერულ ლაბორატორიაში განახლებული კონფიგურაციით განთავსდა კომპიუტერები, რაც უზრუნველყოფს ერთდროულად 25 მოსწავლის ინდივიდუალურ პრაქტიკულ მუშაობის შესაძლებლობას;
- დაიწყო საკლასო ოთახების კაბელირება ინტერნეტის ქსელში ჩასართავად;
- დაიწყო მეორე სასწავლო კორპუსის მე–4 სართულზე განთავსებული 4 საკლასო ოთახისა და დერეფნის სარემონტო სამუშაოები;
- განახლდა სააქტო დარბაზის სცენის ფარდის გამწევი მექნიზმი, რამაც უზრუნველყო თვითშემოქმედებითი წრეების მუშაობისთვის და ღონისძიებების ჩასატარებლად უსაფრთხო გარემო;
- განახლდა სასკოლო ინვენტარი – მერხები, ტანსაცმლის კარადები;
- დამონტაჟდა ვიდეომონიტორინგის სისტემის ჩამწერი მოწყობილობის კარადა ინფორმაციის დაცვის უზრუნველსაყოფად;

მხარდამჭერი გარემოს უზრუნველყოფა მასწავლებელთა და თანამშრომელთა პროფესიული განვითრებისათვის

მასწავლებლების მიღწევები

- ისტორიისა და ჩვენი საქართველოს მასწავლებელი დავით დუგლაძემ საქართველოს ეროვნული ფონდისა და დიდი ბრიტანეთის საელჩოს მიერ ორგანიზებულ კონკურსში „ჩემი მემკვიდრეობა" II ადგილი აიღო კატეგორიაში „ტრადიციული ცოდნის გავრცელება".

- მარინე მჭედლიძე - მონაწილეობა მიიღო ფიზიკის მასწავლებელთა ასოციაციის მეორე ეროვნულ კონფერენციაზე. სასტენდო მოხსენება - არქიმედეს ძალის ექსპერიმენტული კვლევა.
- ნონა ხიდაშელი - ჩააბარა სასერთიფიკაციო გამოცდა საგანში ფიზიკური აღზრდა და სპორტი;
- ელენე თვაური - ჩააბარა სასერთიფიკაციო გამოცდა საგანში ფიზიკური აღზრდა და სპორტი;
- დავით დუგლაძე - ჩააბარა სასერთიფიკაციო გამოცდა საგანში გეოგრაფია;
- ქეთევან ბუჟღულაშვილი - ჩააბარა სასერთიფიკაციო გამოცდა საგანში მათემატიკა (VII-XII);
- ხათუნა ბეგიაშვილი - ჩააბარა სასერთიფიკაციო გამოცდა საგანში მათემატიკა (VII-XII);
- ნანა სადღობელაშვილი - მიიღო წამყვანი მასწავლებლის სტატუსი;
- პროექტის „სურსათის უვნებლობის, სანიტარიისა და ფიტოსანიტარიის სექტორის მხარდაჭერა საქართველოში ENPARD IV-ის ფარგლებში“ შემაჯამებელ ღონისძიებაზე მონაწილეობდა ბიოლოგიის მასწავლებელი ნინო ფსუტური, როგორც პანელური დისკუსიის სტუმარი.

- „ითვინინგის“ პროექტის ფარგლებში ითანამშრომლეს სკოლა-გიმნაზიის მასწავლებლებმა ლელა ყეინაშვილმა, გიული ბუთხუზმა, ნელი ნაოჭაშვილმა. პროექტში მონაწილეობდნენ საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები.
- გიული ბუთხუზი გახდა როკოა კადემიის პედაგოგთა კლუბის წევრი 2024 წლის იანვრიდან 2026 წლის 31 დეკემბრამდე); მიენიჭა Microsoft-ის საგანმანათლებლო ექსპერტის წოდება 2024-2025 სასწავლო წელს.

2024 წლის 27 სექტემბერს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით გამართულ მეცნიერებათა ფესტივალის „ახალგაზრდა მეცნიერები პლანეტის უკეთესი მომავლისთვის“ ფარგლებში გამართულ კონფერენციაზე წარდგნენ:

- ქიმიის მასწავლებელი ნელი ნაოჭაშვილი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შინდისის წამყვან მასწავლებელ ნინო გარსევანიშვილთან ერთად მოხსენებით „სურსათის უვნებლობა“,

- კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი გიული ბუთხუზი გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ თამარ მაკასარაშვილთან ერთად მოხსენებით „ისტ და ციფრული წიგნიერება საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში“,

- ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მარიამ საური მოხსენებით „ფორმალური განათლების გაძლიერება არაფორმალური განათლებითა და რემედიაციით“.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარება

სასწავლო წლის განმავლობაში სკოლა-გიმნაზიის მასწავლებლები კვალიფიკაციის ამაღლებისა და სხვადასხვა მიმართულებით ცოდნის გაღრმავების მიზნით ესწრებოდნენ ტრენინგებსა და სასწავლო კურსებს:

ნანა ლომიძე - ტრენინგი „ხელოვნული ინტელექტის გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ივნისი 2025.

მარიამ საური

- ტრენინგი ხელოვნური ინტელექტის გამოყენება მუსიკისა და ანიმაციების შესაქმნელად - 09.03.2025 - შპს ქი ქონსალთინგი;
- ტრენინგი საგნობრივი აქტივობები და პროექტები - 18.08.2025 - შპს ქი ქონსალთინგი.

ცისია ვანიშვილი - ტრენინგი „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირველკლასელი მოსწავლეების სკოლაში ტრანზიციის პროცესის ეფექტურად დაგეგმვისა და განხორციელების გზები", 25.07.2025, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერი ცენტრი.

მარინე მჭედლიძე - ასტრონომიის მასწავლებელთა მომზადების კურსი, „ასტროფიზიკის ობსერვატორიის თბილისის ოფისში “ IAU –NACE;

ლეილა ბერუაშვილი - ასტრონომიის მასწავლებელთა მომზადების კურსი, „ასტროფიზიკის ობსერვატორიის თბილისის ოფისში “ IAU -NACE ;

ია ჯალალი

- ტრენინგი „სტრესის მართვა და ურთიერთობის ფსიქიკა”-ორგანიზაცია შპს „ ცოდნის მაძიებელნი“
- კურსი „ურთიერთობის ფსიქოლოგია და სტრესის მართვა სპეც. პედაგოგთა და აღმზრდელ პედაგოგთათვის“, იანვარი 2025, შპს ცოდნის მაძიებელნი;
- სპეც. პედაგოგი ტრენინგი, 14-15 იანვარი 2025, შპს ცოდნის მაძიებელნი.

ქეთევან კარელიძე

- ტრენინგი,,შეარბილე კლიმატის ცვლილება" აპრილი 2025,
- საგნობრივი ტრენინგი, STEM ინოვატორთა ასოციაცია;
- ვებინარი თემაზე „როგორ ვსწავლობთ ახალგაზრდა მკვლევერთა კლუბებში," 2025, YEC აკადემია.

ნინო ფსუტური

- „ვიკიმედიის მომხმარებელთა საქართველოს ჯგუფი“ ვიკიპედიის ბანაკი - ვიკიმედია საქართელო (15 მარტი 2025 წელი)
- pring School for Trainers and Enterpreneurs in Moldova, Rascova – Co-funded by the European Union; Ecovision; Social entrepreneurship Hub (14- 17 April 2025)
- Teaching With productive Gardens-a Green Laboratory for Learning”- Czech AID; UNDP; (3-4 .5. 2025)
- ტრენინგ მოდულის დაგეგმვა - ტრენერების ტრენინგი - (კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი. 29.06.2025- 01.07.2025
- როგორ ვმართოთ ახალგაზრდა მკვლევართა კლუბი-ტრენერთა ტრენინგი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრი.

ქეთევან კორაშვილი - ტრენინგი: ინკლუზიური განათლება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 12.09.2024.

მზია მაკრახიძე

- STEM- განათლება უნივერსიტეტში, 5 ივნისი, 2025, ინოვაციური განათლების საერთშორისო ცენტრი
- “შეარბილე კლიმატის ცვლილება“, 4-7 აპრილი, 2025, KGT- Keep Georgia Tidy- დავიცვათ საქართველოს სისუფთავე;
- „წარმატებული გაკვეთილი“, 19 იანვარი, 2025, „ტრანსფორმაციული ტრენინგები“
- „ოკეანის წიგნიერება სკოლებში“, 1-24 ნოემბერი,2024, ოკეანის საერთაშორისო ინსტიტუტის (IOI) და ოკეანის აკადემია საქართველო (OAG)
- eTwining National European Label- ეროვნული ევროპული ნიშანი, პროექტში - ECOLUTION, 12 ნოემბერი,2024 , eTwining – European School Education Platform
- eTwining National Quality Label- ეროვნული ხარისხის ნიშანი, პროექტში - ECOLUTION, 11 ოქტომბერი, 2024, eTwining – European School Education Platform

მარიამ ჩუხრუკიძე

- ტრენინგი „ქეისების შექმნა და სასწავლო პროცესში გამოყენება“, 2024 შპს ქი ქონსალთინგი;
- ტრენინგი „სწავლების ინტერაქციული მეთოდები" 2024, საქართველოს განათლებისა და ბიზნესის აკადემია;
- „განმავითარებელი შეფასების გამოყენება დაწყებით კლასებში", შპს ქი ქონსალთინგი;
- კონფერენცია ,,წლის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება", შპს ქი ქონსალთინგი.

გიული ბუთხუზი ტრენინგ კურსი „code.org-ის პლატფორმით სასწავლო რესურსების შექმნა“, როკო აკადემია 03.02-02-03-2024 ;

- პროგრამირების საწყისი კურსი პითონის პროგრამირების მიმართულებით 16.03-11.05-2024;
- სასწავლო კურსი „ხელოვნური ინტელექტი განათლებისტვის-გენერაციული AI ლატფორმები“ საგანმანათლებლო ინოვაციებისა და ტექნოლოგიების აკადემია, აგვისტო 2024;
- „სკოლებში მედიაწიგნიერების სწავლების ინტეგრირების მიმართულებით“ კომუნიკაციების კომისია, 2024;
- „ქეისების შექმნა და სასწავლო პროცესში გამოყენება“ 20.08.2024, გლობალური განათლების ასოციაციის ორგანიზებით.